# ხელშეკრულება #219/15-7

ზ.გ.

დას. საზერიო „04„----09----------„ 2015 წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საზერიო (საფოსტო: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს „უბიხი-2006", იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #90, შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, მისი დირექტორის – გენო გამისონიას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულებათ თანხმდებიან შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში მოაწყოს დას. საზერიოს ტერიტორიაზე არსებული წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორებისათვის ერთი ცალი სამორიგეო ჯიხური. ხარჯთაღრიცხვა, ჯიხურის დამზადებაზე ხელშეკრულებას თან ერთვის, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 3494.5 (სამი ათას ოთხასოთხმოცდათოთხმეტ ლარს და 50 თეთრს) ლარს, სამუშაოს განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;

3.2 ანგარიშსწორების ფორმაა-უნაღდო ანგარიშსწორება;

3.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

## 4. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

4.1 სამუშაოს შესრულების ადგილია: გალის რ-ნი, დას. საზერიო.

4.2 სამუშაოს შესრულების ვადაა 10 (ათი) სამუშაო დღე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ვადაზე ადრე.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსრულებელი" ვალდებულია:

- განახორციელოს ერთი ცალი სამორიგეო ჯიხურის მოწყობა ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

_ მიიღოს აღნიშნული სამუშაო და ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.3. ქვეპუნქტის პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს: შპს „ენგურჰესი"-ს კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობები

8.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ "შემსრულებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე სახელშეკრულებო თანხის 0,07%-ის ოდენობით.

8.3 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ სახელშეკრულებო თანხის 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

9.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

### 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| "შემსყიდველი" | „შემსრულებელი" |
| **შპს "ენგურჰესი"** | **შპს „უბიხი-2006"** |
| იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას #8 | იურიდიული მის. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #90 |
| | ს/კ 220406004 |
| სს ,,პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება | სს ,,ბანკი რესპუბლიკა" |
| ბ/კ MBIGGE22 ს/კ 251716371 | ბ/კ REPLGE22 |
| ა/ა GE59PC0173600100015015 | ა/ა GE87BR0000010969322617 |
| დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე | დირექტორი |
| ლ. მებონია | გ. გამისონია |

წყალსაქაჩი სადგურის ოპერატორებისთვის სამორიგეო ჯიხურის მოწყობის

ხარჯთაღრიცხვა

| # | სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | | ღირებულება (ლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ნორმატივით ერთეულზე | საპროექტო მონაცემებით | ხელფასი | | მასალები | | ტრანსპ. მანქანა-მექანიზმები | | ჯამი |
| | | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | კარკასის მოწყობა მილკვადრატით | გრძ/მ | | 34 | | | | | | | |
| 1,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 0,3 | 10,2 | 4,6 | 46,92 | | | | | 46,9 |
| 1,2 | მექანიზმები შესადუღებელი აგრეგატი | მ/სთ | 0,02 | 0,68 | | | | | 10,2 | 6,94 | 6,9 |
| 1,3 | მილკვადრატი 50X50X3მმ | კგ | 0,02 | 13 | | | 8 | 104 | | | 104 |
| 1,4 | მილკვადრატი 40X40X2მმ | კგ | 0,02 | 21 | | | 3,5 | 73,5 | | | 73,5 |
| 1,5 | ელექტროდი | კგ | 0,02 | 0,7 | | | 3 | 2,04 | | | 2 |
| 1,6 | სხვა მასალები | ლარი | 0,03 | 1,02 | | | 3.2 | 3,26 | | | 3,3 |
| 2 | კედლების მოწყობა მეტალო-პლასტმასის პროფილებით | კვ.მ | | 15,5 | | | | | | | |
| 2,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 0,5 | 7,75 | 4,6 | 35,65 | | | | | 35,7 |
| 2,2 | მეტალოპლასტმასის ნაკეთობა | კვ.მ | 24,9 | 14,5 | | | 95 | 1377,5 | | | 1377,5 |
| 2,3 | სხვა მასალები | ლარი | 0,4 | 6,2 | | | 3,2 | 19,84 | | | 19,8 |
| 3 | მეტალო-პლასტმასის ნახევრად შემინული კარების მოწყობა | კვ.მ | | 1,5 | | | | | | | |
| 3,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 1,2 | 1,8 | 4,6 | 8,28 | | | | | 8,3 |
| 3,2 | მეტალოპლასტმასის ნაკეთობა | კვ.მ | | 1,5 | | | 110 | 165 | | | 165 |
| 3,3 | სხვა მასალები | ლარი | 1,1 | 1,65 | | | 3,2 | 5,28 | | | 5,3 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სახურავის მოწყობა პროფილირებული თუნუქით | კვ.მ | | 7 | | | | | | | |
| 4,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 2,1 | 14,7 | 4,6 | 67,62 | | | | | |
| 4,2 | თუნუქი პროფილირებული | კვ.მ | | 7 | | | 17 | 119 | | | 67,6 |
| 4,3 | მურუფი | ც | 0,184 | 36 | | | 0,24 | 8,64 | | | 119 |
| 5 | ოთახის შიგნით და ჭერზე პლასტიკატის მოწყობა | კვ.მ | | 19 | | | | | | | 8,6 |
| 5,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 0,6 | 11,4 | 4,6 | 52,44 | | | | | |
| 5,2 | პლასტიკატი | კვ.მ | | 18 | | | 10 | 180 | | | 52,4 |
| 5,3 | სხვა მასალები | ლარი | 0,4 | 7,6 | | | 3,2 | 24,32 | | | 180 |
| 6 | იატაკის მოწყობა ფიცრებით | კვ.მ | | 4,8 | | | | | | | 24,3 |
| 6,1 | შრ. დანახარჯი | კაც/სთ | 1,31 | 6,29 | 4,6 | 28,92 | | | | | |
| 6,2 | ფიცარი დამუშავებული | კუბ.მ | | 0,2 | | | 400 | 80 | | | 28,9 |
| 6,3 | სხვა მასალები | ლარი | 0,9 | 4,32 | | | 3,28 | 14,17 | | | 80 |
| 7 | ელ-გაყვანილობისა და მოწყობილობების მონტაჟი | წრტ | | 2 | | | | | | | 14,2 |
| 7,1 | შრ. დანახარჯი - 5X1,15 | კ/სთ | 3,75 | 8 | 4,6 | 34,5 | | | | | |
| 7,2 | ელ. ჩამრთველების 1 პოლუსა ღირებულება | ც | | 1 | | | 4 | 4 | | | 34,5 |
| 7,3 | სანათის ღირებულება | ც | | 1 | | | 15 | 15 | | | 4 |
| 7,4 | ელ. როზეტი ღირებულება | ც | | 1 | | | 4 | 4 | | | 15 |
| 7,5 | ელ. სადენი 2X2,5 ღირებულება | გრძ/მ | | 10 | | | 1,2 | 12 | | | 4 |
| | სულ ჯამი | | | | | | | | | | 12 |
| | ზედნადები ხარჯები 10% | | | | | 274,3 | | 2211,6 | | 6,9 | 2492,8 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 249,3 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | | | | | | 2742,1 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 219,4 |
| | დღგ - 18% | | | | | | | | | | 2961,5 |
| | საერთო ჯამი | | | | | | | | | | 533,1 |
| | | | | | | | | | | | 3494,5 |

ხარჯთაღრიცხვა შეადგინა
შპს "უბიხი-2006"-ის
დირექტორი: გ. გამისონია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„,04,,-------09--------“ 2015 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, #219/15-7 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს "უბიხი-2006"-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. მებონია

შპს "ენგურჰესი"-ს კომუნალური
განყოფილების უფროსი ს. კვირკველია